

საქართველოს კანონი

საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12-13, ნოემბერ-დეკემბერი, 1993 წ., მუხ. 223) მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. საქართველოდან დროებითი გასვლის უფლების შეზღუდვის საფუძვლები

1. საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოდან დროებითი გასვლისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემაზე, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე, თუ იგი:

- ა) იძებნება სამართალდამცავი ორგანოების მიერ;
- ბ) წარადგენს ყალბ ან ძალის არმქონე საბუთებს.

2. საქართველოს მოქალაქეს შეიძლება ასევე უარი ეთქვას საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე, თუ ის მიემგზავრება ევროკავშირის/შენგენის სივრცის იმ ქვეყანაში, რომელთანაც საქართველოს უვიზო მიმოსვლის რეჟიმი აქვს, და შემდეგი გარემოებებიდან არსებობს ერთ-ერთი მაინც:

ა) საქართველოს მოქალაქეს ეკრძალება ევროკავშირის/შენგენის სივრცის რომელიმე ქვეყანაში შესვლა და ეს ფაქტი ცნობილია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კონტროლის განხორციელების უფლებამოსილების მქონე ორგანოსთვის;

ბ) საქართველოს მოქალაქე არ წარადგენს:

ბ.ა) ბოლო 10 წლის განმავლობაში გაცემულ შესაბამის ბიომეტრიულ პასპორტს, რომლის მოქმედების ვადაც საქართველოს მოქალაქის მიერ ევროკავშირის/შენგენის სივრცის დატოვების დღისთვის არანაკლებ 3 თვეა;

ბ.ბ) ევროკავშირის/შენგენის სივრცის დატოვებისთვის ვარგის სამგზავრო ბილეთს ან ასეთი სამგზავრო ბილეთის მოქმედი ჯავშნის დამადასტურებელ დოკუმენტს;

ბ.გ) ევროკავშირის/შენგენის სივრცეში მდებარე სასტუმროს ან სხვა საცხოვრებლის მოქმედ ჯავშანს ან მასში ცხოვრების უფლების დამადასტურებელ სხვა სათანადო დოკუმენტს ან ევროკავშირის/შენგენის სივრცეში კანონიერად მცხოვრები მასპინძლის თანხმობას თავის საცხოვრებელში საქართველოს მოქალაქის განთავსების თაობაზე, აგრეთვე აღნიშნული სასტუმროს/საცხოვრებლის მისამართს;

ბ.დ) ევროკავშირის/შენგენის სივრცეში მოქმედ ჯანმრთელობის დაზღვევის დოკუმენტს;

ბ.ე) მოგზაურობის ფინანსურ უზრუნველყოფას ან მოგზაურობის ფინანსური

უზრუნველყოფის დამადასტურებელ დოკუმენტს.

3. საქართველოს იმ მოქალაქის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის პირობებსა და წესს, რომელიც ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყანაში მიემგზავრება, ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ადგენს აგრეთვე ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული უარის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში/ზემდგომ თანამდებობის პირთან გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის ვადებსა და წესს.

4. საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერად შემოყვანილი/დაკავებული ბავშვის დაბრუნების შესახებ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ცენტრალური ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის შუამდგომლობის საფუძველზე 16 წლამდე პირს შეიძლება უარი ეთქვას პასპორტის გაცემაზე ან/და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით ან სასამართლო გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“.

მუხლი 2. 2021 წლის 1 იანვრამდე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინოს:

ა) საქართველოს იმ მოქალაქის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის პირობები და წესი, რომელიც ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყანაში მიემგზავრება;

ბ) საქართველოს იმ მოქალაქისათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე ნათქვამი უარის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში/ზემდგომ თანამდებობის პირთან გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის ვადები და წესი, რომელიც ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყანაში მიემგზავრება.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
2020 წლის ...